№28 2016 წლის 12 იანვარი ქ. თბილისი

„გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) (მაინის ფრანკფურტი) და საქართველოს შორის სასესხო ხელშეკრულების „ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღია პროგრამა - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - ფაზა IV" საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ლ. ხუციშვილის დანიშვნის შესახებ

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2[4] პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) (მაინის ფრანკფურტი) და საქართველოს შორის სასესხო ხელშეკრულება „ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღია პროგრამა - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - ფაზა IV".

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში

აღნიშნულ ხელშეკრულებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები **გიორგი კაკაურიძე** და **ლაშა ხუციშვილი.**

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**